საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
გულუას ქ.№6, 0114, ქ. თბილისი, საქართველო, ტელ: (+995 32) 2753959

N 11/2694

29/04/2022 2694-11-2-202204291538

სს გეს „საქრუსენერგო"-ს გენერალურ
დირექტორს ბატონ ბაჩანა სულაძეს

ბატონო ბაჩანა,

სსიპ ეროვნულმა სატყეო სააგენტომ განიხილა თქვენი 21.04.2022წ. N05/238 და 28.04.2022წ. წერილები, სადაც დასმულია საკითხი 500 კვ. ახალი ელექტროგადამცემი ხაზის „მარნეული-აირუმი"-ს მშენებლობის მიზნით სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე სარგებლობის უფლების თანხმობის გაცემასთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი 1377 კვ.მ და 14977 კვ.მ ფართობები „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, **მდებარეობს** სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში.

აქვე გაცნობებთ, რომ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ იმსჯელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების საკითხთან დაკავშირებით.

დანართი: SHP-ფაილი

პატივისცემით,

არჩილ ნიკოლეიშვილი

სააგენტოს უფროსი